



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: 31. 3122294001

თარიღი: 21/10/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №11

ქ. ლანჩხუთი

18. 10. 2022 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუბუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა სამი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიშვილი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიშვილი/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარეუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარეუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიშვილი/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარეუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიშვილი/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

7. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 26 ოქტომბერი, 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის კოდი: 06 02 23 პროგრამის ბიუჯეტი 51600 ლარი) და „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის კოდი: 06 02 17 პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 40000 ლარს. ადრეული განვითარების პროგრამის ტრანსპორტირებისთვის ვალდებულება აღებულია 6000 ლარზე, რეაბილიტაცია აბილიტაციის ტრანსპორტირებისთვის გახარჯულია 24230 ლარი და დარჩენილია 9770 ლარი. მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების რაოდენობის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით სარგებლობას. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 1 ბავშვი საჭიროებს „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობას. ხოლო 3 აღსაზრდელი „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობას. შემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას.“ ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიძებნოს ფინანსური რესურსი სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვებისთვის მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. საჭიროა შემოაღნიშნულ ორივე პროგრამაში როგორც პროგრამულ ბიუჯეტში ასევე სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში მიეთითოს შენიშვნის სახით ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებზე არ გავრცელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ვალდებულების ჩანაწერი. „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობისთვის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მობილიზება საჭირო არ იქნება და იგი განხორციელდება არსებული რესურსის ფარგლებში. ხოლო 3 ბავშვის ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსებისთვის „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში საჭირო იქნება დამატებით ბიუჯეტში 3000 ლარის დამატება. დღეის მდგომარეობით ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 21- მდე გაიზარდა რის გამოც წლის ბოლომდე პროგრამაში საჭირო იქნება დაახლოებით 10000 (ათი ათასი)ლარის დამატება პლუს 3000 ლარის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირებისათვის. ჯამში „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში 13000 ლარის

დამატება იქნება საჭირო.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 აგვისტოს N1456 განკარგულებით შევიდა ცვლილება (16.08.2021) წლის N1419 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა) გამოყოფილი თანხა შემცირდა 18062 ლარით. მათ შორის, ცენტრალური დაფინანსება 17881 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 181 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად ქ.ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია შემცირდა 14781 ლარით. მათ შორის, ცენტრალური დაფინანსება 14042 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 739 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდოს 169728,14 ლარით.

მოთხოვნის განხილვის შედეგად ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსება გაიზარდოს 11872 ლარით. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 24640 ლარით. ააიპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება გაიზარდოს 50000 ლარით. სარეზერვო ფონდი გაიზარდოს 10000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა გაიზარდოს 90000 ლარით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება გაიზარდოს 5000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა გაიზარდოს 10000 ლარით, ამასთან ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდოს 13000 ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯის 8000 ლარით და მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე. სპორტის ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების 2000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 2000 ლარით.

ხარჯების ცვლილებასთან ერთად ცვლილება განხორციელდეს ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში კერძოდ; სანებართვო მოსაკრებელი გაიზარდოს 10500 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები გაიზარდოს 150000 ლარით, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან შემცირდეს 30000 ლარით და ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართოს წლის დასაწყისისათვის არსებული თავისუფალი ნაშთი 70092 ლარით.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს - „ქართული ოცნება -

დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუზუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა ა(ა)იპ რუდუნის“ დამფუძნებელმა სოფიო ჩხაიძემ, რომელმაც აღნიშნა რომ აიპი არ საჭიროებს მის სარგებლობაში არსებულ მუნიციპალურ ქონებას (ს/კ 27.06.51.005 01/216) და სურვილი აქვს გაუქმდეს ა(ა)იპ „რუდუნისთვის“ მინიჭებული ქონების სარგებლობის უფლება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილია წინადადება - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის N6 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე განცხადებით მომართა ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიას“ (ს/ნ 433652843) წარმომადგენელმა ირმა გრძელიძემ, რომელმაც მისი ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ითხოვა „რუდუნის“ მიერ გათავისუფლებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N126 - ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის (ს/კ 27.06.51.005 01/216) მესამე სართულზე მდებარე 43.90 კვ.მ. N216 ოთახი.) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიას“, რომ დაწესებულებამ შესძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის

ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუბუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუბუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს, მომართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ 2022 წლის 4 ოქტომბრის N5/55066 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი (ს/კ 27.08.46.002. 01/500), (ს/კ 27.09.46.013. 01/500) და ძირითადი (განუსხვისებელი) (ს/კ 27.01.42.015. 01/503) კატეგორიის უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასაცემად, შემდგომში აღნიშნული ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება - სახელმწიფოს გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის განმარტებით, კი სახელმწიფოს მიერ გადასაცემად მოთხოვნილ ძირითადი კატეგორიის ქონებას (ს/კ 27.01.42.015. 01/503) აღარ ააქვს ძირითადი ქონების სტატუსი, ის არ გამოიყენება მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად, რის გამოც სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევა აღნიშნული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემას.

სამსახურის თხოვნაა, წარმოდგენილი პროექტის განხილვა მოხდეს უმოკლეს პერიოდში, საკრებულოს მომდევნო სხდომაზე და მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საკრებულომ, სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის წარმოდგენიდან 45 დღის განმავლობაში არ მიიღო გადაწყვეტილება, მაშინ მოთხოვნილი ქონება (დამატებითი კატეგორიის) სახელმწიფოსათვის გადაეცემა.

ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნიაშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააგნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნიაშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2022 წლის 21 სექტემბრის N10/302226440-30 წერილით, მომართა ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ (ს/კ 433649359) დირექტორმა დიტო მარშანიშვილმა, რომელმაც „სპორტული მუზეუმის“ მოსაწყობად, ითხოვა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - (ქ. ლანჩუთში, ნინოშვილის ქუჩა N37 - ში მდებარე შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე: N19 - 21.06 კვ.მ; N28 - 36,99 კვ.მ; N29 - 10,09 კვ.მ. და N30 - 21,03 კვ.მ. ოთახები. (საერთო ფართობი 89,17 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით,

სარგებლობის უფლებით გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაძე**. მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის სექტემბრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 759424 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 759424 ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1186857.11 ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 71,9 %-ს; დღ-მ შეადგინა 947908.43 ლარი, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 75.1 %-ს; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 7026.16 ლარი, მათ შორის ფიზიკური პირებიდან - 4955.16 ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 5126.82 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 202431.184 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 6374.51 ლარი; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 1639.95 ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 747.38 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 154492.354 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის

სექტემბრის თვეში შემოსულობებმა 1946281.11 ლარი შეადგინა. განვლილ საფინანსო პერიოდში შრომის ანაზღაურება დროულად იქნა გაცემული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ დაფიქსირებულა.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 19102501.2 ლარი. სექტემბრის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 3653230 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1756910 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 3667514 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 4652238 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 7695667 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად და ყველა ვალდებულება შესრულებულია.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიში.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჩოლობარგში სამკითხველო დანგრევის პირასაა და დროულად არის ზომები მისაღები. მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი საკრებულოს სხდომაზეც დაისვა და აუცილებლად იქნება შესაბამისი ღონისძიება გატარებული. გარდა ამისა, სუფსის სამუსიკო სკოლის შენობას უნდა ჩატარებოდა გარკვეული სახის რეაბილიტაცია, მაგრამ სართულებს შორის ჩავარდა იატაკი, რა დროსაც, საბედნიეროდ, შენობაში არავინ არ იმყოფებოდა. შენობა არის უძველესი და ფიზიკურად რეაბილიტაცია უკვე აღარ შეიძლება. ის პირადად იყო მისული ადგილზე და გაეცნო სიტუაციას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვერიკო კვირკველია** დაინტერესდა, ხდება თუ არა კონტროლი ქალაქში განხორციელებული პროექტებისთვის და სახურავებს შესაცვლელად შეძენილი მასალის ხარისხზე. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს პროექტები ხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ, შესაბამისად, მუნიციპალიტეტი მასალის შეძენაში მონაწილეობას ვერ ღებულობდა. რაც შეეხება სახურავის მასალას, არის გარკვეული სტანდარტი, რომლის გათვალისწინება შესაბამისად ხდება. ზოგადად, როდესაც ამოწმებს ექსპერტიზა, იგი დებს ხარისხის შესაბამის დოკუმენტაციას. რაც შეეხება, ქალაქის ცენტრში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, არის გარკვეული ხარვეზები, რომლებიც, შესაბამისად, გამოსწორდება. რაც შეეხება ტრენაჟორებს, მათ მუნიციპალიტეტი შეიძენს.

ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარმა დეპუტატმა და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ძლიერი წვიმების შედეგად რამდენიმე სახლი დაიტბორა, ასევე, ჩაიშალა ნაპირსამაგრი გაბიონები. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ნაპირსამაგრი გაბიონებთან დაკავშირებით, მან დაავალა შესაბამის სამსახურს, რომ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სადაც საშიშროება ექმნება გზას და ოჯახებს მომზადდეს რეალური პროექტები. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ მას ჰქონდა საუბარი კუპრეიშვილის ქუჩაზე მდებარე კორპუსის

მაცხოვრებლებთან, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ სარდაფში დგება წყალი, რის შედეგად ზიანდება კორპუსის საძირკველი, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის შენობას. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ თუკი აღნიშნული შენობა არის ავარიული, ამასთან დაკავშირებით შემოიტანონ მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება. რის შემდეგაც შესაბამისი კომისია შეაფასებს შექმნილ სიტუაციას და გატარდება სათანადო ღონისძიებები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** დაინტერესდა, ჩამოვიდა თუ არა მილხიდების პროექტები, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ მილხიდების პროექტები არ ჩამოსულა, მაგრამ უახლოეს დღეებში ელოდებიან ნაპირსამაგრებთან დაკავშირებულ პროექტებს, მათ შორის, აცანაში, სოსო ჩხაიძის სახლთან არსებულ პრობლემაზეც. ასევე, ჩოჩხათის ცენტრალურ გზაზე და ღრმაღელეში. კომპანიამ წარმოადგინა პროექტები, რომელიც, სავარაუდოდ, იქნება რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების და მას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვერ დაიწუნებს, მაგრამ მუნიციპალიტეტის დონეზეც ვერ გაკეთდება. რაც შეეხება, ხიდებს და მილხიდებს, ამაზეც იყო საუბარი და უახლოეს დღეებში იქნება შესაბამისი ინფორმაცია მოწოდებული. გარდა ამისა, წარმოდგენილი იყო ისეთი მასშტაბის პროექტი, როგორიც მუნიციპალიტეტს არ ჭირდება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** თავის მხრივ აღნიშნა, რომ როდესაც არის რამდენიმე ხიდი დასაპროექტებელი, ისინი უნდა გაკეთდეს არა ერთად, არამედ დაშლილი სახით, რადგან პროცესი დროში ძალიან იწელება. კოლეგას დაეთანხმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, რომლის აზრითაც უმჯობესია თუ პროექტებთან დაკავშირებით ცალ-ცალკე უნდა გამოცხადდეს ტენდერი და ხელშეკრულებაში ჩაიწეროს რეალურად მოკლე ვადა, რაც პრობლემის მოგვარებას გაცილებით დროულად შესაძლებელს გახდის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ გვარჯალაძის ქუჩაზე კორპუსის მაცხოვრებლები ითხოვენ საკანალიზაციო სისტემის მოწყობას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, ხომ არ ფლობს რაიმე ინფორმაციას ჯურუყვეთის უბანში წყლის მიწოდების პრობლემასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ის პირადად შეხვდა და ესაუბრა კომპანიის წარმომადგენელს, მაგრამ უმჯობესია, თუ კიდევ მოიწვევენ და შეხვდებიან. რაც შეეხება დიდ პროექტებს, კერძოდ, ორმეთის და კორეის უბნებთან დაკავშირებით, ესაუბრა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელს, რომელიც უახლოეს დღეებში ჩამოვა ადგილზე და იმედია, რომ გადაწყდება ეს საკითხი. გარდა ამისა, გამოცხადებულია ტენდერი 35-40 მლნ. ლარის ფარგლებში. ქალაქში, კერძოდ, მაჩხვარეთის ზედა უბანში დაიდგმება დიდი მოცულობის ავზები, რომლიდანაც მოხდება წყლის გადანაწილება და მომარაგდება ტრასის მიმდებარე სოფლები.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელებას სოფლები უნდა შეხვდნენ წყალმომარაგების გამართული სისტემით, რადგან არის ადგილები, სადაც იგი დაზიანებულია.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, პროექტი, რომელსაც ამჟამად ახორციელებს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, არის რამდენიმე მლნ. ლარის ღირებულების და მოიცავს 12 სოფელს, რომლის მიხედვით,

კომპანია თავად აწესრიგებს ყველაფერს და იღებს მოვლა-პატრონობის ვალდებულებას. მომავალი წლის მარტის თვეში დასრულდება ამ სოფლების წყალმომარაგების სისტემის კეთილმოწყობა. მუნიციპალიტეტის მერის თქმით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი არის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური ამ კუთხით და მათი მხრიდან მაქსიმალურად იყო თხოვნა, რომ თუკი არსებული რესურსები იქნება საკმარისი, 2024 წლის ბოლოსთვის მუნიციპალიტეტში საბოლოოდ დასრულდეს წყალმომარაგების სისტემის კეთილმოწყობა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

